რეკომენდაციები, ქ. თბილისი, სიონის ქ. #8-ში მდებარე შენობაზე განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით

ქ. თბილისი

2023

ობიექტი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანი ნაგებობაა, სიონის ქ. #8-ში მდებარე ყოფილი არწრუნის ქარვასლა,

რომელშიც ამაჟამად იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმია განთავსებული. აღნიშნული შენობის, ძალზედ ღრმა, საფუძვლიანი და დეტალური კვლევა, მომზადებულია არქიტექტურის ისტორიკოს მაია მანიას მიერ 2006 წელს, შენობაზე სარესტავრაციო პროექტის მომზადებისას. შესაბამისად აღნიშნულ დასკვნა სრულად ეყრდნობა და იზიარებს კვლევის ისტორიასა და მასში მოყვანილ შედეგებს. კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენი ამოცანაა, კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების მეთოდოლოგიის განსაზღვრა (იხ. დანართი 1. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა. მ. მანია 2006 წელი).

სტატუსი

არწრუნის ქარვასლა, როგორც უმნიშვნელოვანესი ძეგლი, 1986 წლიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ატარებს კულტურული მემკვიდრეობის ისტორიისა და კულტურის ძეგლის სტატუსს. მისი სტატუსის განახლება მოხდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2006 წელს ბრძანება 3/133-ის საფუძველზე.

ჩასატარებელი სამუშაოების მეთოდოლოგია და შემადგენლობა

გამომდინარე იქიდან, რომ შენობა წარმოადგენს, კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლს, მასზე უნდა განხორციელდეს მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამუშაოები, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ზუსტ სარესტავრაციო პოლიტიკას და მეთოდოლოგიურ სამუშაოებს შემდეგი შემადგენლობით:

მუხლი 49. ძეგლზე სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა

1. მოძრავი ძეგლის, ასევე უძრავი ძეგლის გადაადგილებადი ფრაგმენტის (გარდა პალეოგრაფიული და მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლებისა) კვლევითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) განმარტებითი ბარათი (პრობლემის დეტალური აღწერა და მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება);

ბ) ძეგლის არსებული მდგომარეობის ფიქსაცია, მათ შორის, ფოტო და ვიზუალური აღწერის მასალები, შესაბამისი ანალიზები;

გ) სამუშაო გეგმა, მისი დასაბუთება, პროცესის თანმიმდევრობის ჩვენებით; სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი;

დ) მოსალოდნელი შედეგების აღწერა.

2. უძრავი ძეგლის კვლევითი სამუშაოების პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) განმარტებითი ბარათი. განმარტებით ბარათში დასაბუთებული უნდა იყოს კვლევის მიზნით ძეგლზე ფიზიკური ზემოქმედების აუცილებლობა და კვლევითი სამუშაოების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან. განმარტებით ბარათში უნდა მიეთითოს:

ა.ა) ძეგლის ზუსტი დასახელება, მისი ადგილმდებარეობის დასახელება და ზუსტი მისამართი;

ა.ბ) სამუშაოთა სახეობები და მოცულობა, შერჩეული მეთოდოლოგია;

ა.გ) კომპლექსური ძეგლის შემთხვევაში, როდესაც არსებობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული კონსერვაციის გეგმა, ხოლო პროექტი მხოლოდ მისი ფრაგმენტის შესწავლას ითვალისწინებს, – სამუშაოების კონსერვაციის გეგმასთან შესაბამისობა;

ბ) საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა (მასშტაბი 1:1000 ან 1:2000), ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი გლობალური თანამგზავრული სისტემით განსაზღვრული კოორდინატებით (შემდგომში – GPS კოორდინატები);

გ) საპროექტო ობიექტის საერთო ხედების ამსახველი უახლესი ფოტომასალა;

დ) სამუშაო გეგმა, მისი დასაბუთება, პროცესის თანმიმდევრობის ჩვენებით; სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი;

ე) მოსალოდნელი შედეგების აღწერა.

3. უძრავი ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი უნდა შემუშავდეს კვლევითი სამუშაოების საფუძველზე. იგი, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული შემთხვევისა, შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) პრობლემის დეტალური აღწერა და მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება, მოსალოდნელი შედეგების აღწერა;

ბ) საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა (მასშტაბი 1:1000 ან 1:2000), ტოპოგრაფიული გეგმა (მასშტაბი 1:500 ან 1:200) და გენერალური გეგმა (მასშტაბი 1:500 ან 1:200);

გ) საპროექტო ობიექტისა და მისი საერთო ხედების ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ნაწილის განშლა მიმდებარე ნაგებობებთან ერთად, დაზიანების არსებობის შემთხვევაში – ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა, საარქივო ფოტომასალა, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების ფოტომონტაჟი;

დ) ძეგლის ანაზომები (კროკები, გამოხაზული ნახაზები (მასშტაბი 1:100, 1:50));

ე) სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები (ბიბლიოგრაფიული კვლევის ანალიზი, ნატურაში კვლევის ანალიზი, შესწავლილი ბიბლიოგრაფიული და საარქივო მასალის ჩამონათვალი) და რეკომენდაციები;

ვ) კვლევითი სამუშაოებისას არქეოლოგიური კვლევის ჩატარების შემთხვევაში – არქეოლოგიური კვლევის შედეგები (საკვლევი ტერიტორიის კვადრატებად დაყოფის სქემა, არქეოლოგიური კვლევისას გამოვლენილი ძეგლების განლაგების სქემა და ანაზომი, შურფების განლაგების სქემა, დადასტურებული არქეოლოგის მიერ ხელმოწერით, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მასშტაბი 1:25, 1:20), ტექსტური აღწერილობა, არქეოლოგიური კვლევის შედეგების ანგარიში);

ზ) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა (შურფების განლაგების სქემა, დადასტურებული არქეოლოგის ხელმოწერით, ლაბორატორიული ანალიზი, ლითოგრაფიული ჭრილები და რეკომენდაციები);

თ) დასკვნა ძეგლზე სამუშაოების ჩატარებისას გამოსაყენებელი მასალის არსებულ მასალასთან თავსებადობის შესახებ;

ი) ზონდირების შემთხვევაში – ზონდაჟების განლაგების სქემა, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მასშტაბი 1:25, 1:20) და ტექსტური აღწერილობა;

კ) არქიტექტურული დეტალების განლაგების სქემები, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მასშტაბი 1:25, 1:20) და ტექსტური აღწერილობა;

ლ) კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემა, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მასშტაბი 1:25, 1:20) და ტექსტური აღწერილობა;

მ) სადემონსტრაციო მასალა (გეგმები, ფასადები, ჭრილები (მასშტაბი 1:50, 1:100, 1:200), ფრაგმენტები და დეტალები (მასშტაბი 1:20, 1:10)), ფოტომონტაჟი და პროექტის დასაბუთება;

ნ) შესაბამისი ტერიტორიის ვერტიკალური დაგეგმარების პროექტი (მასშტაბი 1:500 ან 1:200);

ო) სამუშაო პროექტი: არქიტექტურული ნაწილის განმარტებითი ბარათი, არქიტექტურული სამუშაო ნახაზები და შაბლონები (მასშტაბი 1:100, 1:50, 1:1); კონსტრუქციული ნაწილის განმარტებითი ბარათი და კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები (მასშტაბი 1:100, 1:50); საინჟინრო ქსელების განმარტებითი ბარათი, გარე და შიდა საინჟინრო ქსელების (ელექტროგაყვანილობა, წყალმომარაგება-კანალიზაცია, თბომომარაგება და სხვა საინჟინრო კომუნიკაციები) სამუშაო ნახაზები/სქემები (მასშტაბი 1:100, 1:200);

პ) სამუშაოების ჩატარების ორგანიზაციული პროექტი, სამუშაოთა გეგმა და დასაბუთება, რომელშიც ნაჩვენებია პროცესის თანამიმდევრობა, სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი;

ჟ) მოსალოდნელი შედეგების აღწერა.

4. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების (ფასადის სამღებრო სამუშაოები; საინჟინრო კომუნიკაციებისა და სარინების მოწყობა-დამონტაჟება მზიდი კონსტრუქციული ნაწილების ცვლილების გარეშე; ცალკეული არქიტექტურული დეტალების (მათ შორის, ღიობების, კიბეების, აივნების, დეკორატიული ელემენტების) სახეცვლილება, ინტერიერში ჩასატარებელი სარესტავრაციო, სამღებრო ან სარემონტო სამუშაოები, ძეგლის გაწმენდის სამუშაოები) პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

ა) განმარტებითი ბარათი (პრობლემის დეტალური აღწერა და მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება);

ბ) საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა (მასშტაბი 1:1000 ან 1:2000);

გ) საპროექტო ობიექტის საერთო ხედების ამსახველი უახლესი ფოტომასალა;

დ) სამუშაოების ამსახველი გრაფიკული მასალა, რომელშიც ნაჩვენებია შესაბამისი ნიშნულები;

ე) ძეგლის შესაბამისი ნაწილის ანაზომები;

ვ) სახელოვნებათმცოდნეო კვლევა ჩასატარებელი სამუშაოების დასაბუთებით;

ზ) სამუშაოთა გეგმა, სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი;

თ) პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების ფოტომონტაჟი;

ი) ფასადისა და ინტერიერში ჩასატარებელი სარესტავრაციო, სამღებრო ან სარემონტო სამუშაოებისას თავდაპირველ (ადრეულ) ფერთა სპექტრის ანალიზი.

41. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მზიდი კონსტრუქციული ნაწილების ცვლილების გარეშე აბრებისა და შუქფარების განთავსებას, ძეგლის სახურავის (საბურველის) საფრის (ყავარი, კრამიტი, ლორფინი და სხვა) გამოცვლას, სარინების შეკეთებას/გამოცვლას, საინჟინრო კომუნიკაციების შეკეთებას/გამოცვლას, შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

ა) საპროექტო ობიექტის საერთო ხედების ამსახველი უახლესი ფოტომასალა;

ბ) პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების ფოტომონტაჟი;

გ) განმარტებითი ბარათი (შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება);

დ) სამუშაოთა გეგმა, სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი;

ე) აბრებისა და შუქფარების განთავსების შემთხვევაში – სამუშაოების ამსახველი გრაფიკული მასალა, რომელშიც ნაჩვენებია შესაბამისი ნიშნულები.

5. თუ ძეგლზე სამუშაოები მისი პალეოგრაფიული ან მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის ფრაგმენტსაც მოიცავს, ძეგლზე სამუშაოების პროექტს ასევე უნდა დაერთოს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

6. პალეოგრაფიული ან მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) განმარტებითი ბარათი (პრობლემის დეტალური აღწერა და მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება);

ბ) უძრავი ძეგლის შემთხვევაში – საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა (მასშტაბი 1:1000 ან 1:2000), GPS კოორდინატებით;

გ) საპროექტო ობიექტის საერთო ხედების ამსახველი უახლესი ფოტომასალა, დაზიანებული ელემენტებისა და ფრაგმენტების დეტალური ფოტოფიქსაცია;

დ) საპროექტო ობიექტის ანაზომი, დაზიანებათა განლაგების სქემა (მასშტაბი 1:50, 1:25), ცალკეული დეტალები (მასშტაბი 1:1), შაბლონები;

ე) საპროექტო ობიექტის ბიოქიმიური ანალიზი (აღებული სინჯების განლაგების სქემა, ლაბორატორიული ანალიზის შედეგები);

ვ) საპროექტო ობიექტის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა;

ზ) შესაბამისი სპეციალისტის დასკვნა სამუშაოებისას გამოსაყენებელი მასალის ძეგლზე არსებულ მასალასთან თავსებადობის შესახებ;

თ) სამუშაო გეგმა, მისი დასაბუთება, პროცესის თანმიმდევრობის ჩვენებით; სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი;

ი) მოსალოდნელი შედეგების აღწერა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი სახის პროექტი უნდა მომზადდეს მაღალი კვალიფიკაციით არქიტექტორ რესტავრატორის ჩართულობით, სარესტავრაციო მეთოდოლოგიის სრული დაცვით.

რაც შეეხება ინტერიერში ჩასატარებელ მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს, აღნიშნული შემთხვევაც, უნდა ითვალისწინებდეს შენობის ინტერიერის მოწყობის ერთიან პროექტს, შენობის ყველა აუთენტური ელემენტის შენარჩუნებითა და გააზრებით სათანადო პროექტზე დაყრდნობით.

2006 წელს ძეგლებისა და ღირშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს, საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიერ, შედგა საფუძვლიანი სარესტავრაციო პროექტი, რომელიც დეტალურად ასახავს შენობის მშენებლობისა და გადაკეთების ქრონოლოგია ძირითადი და მეორეხარისხოვანი დეტალების მითითებით. შესაბამისად ნებისმიერი სახის, მათ შორის ინტერიერში ჩასატარებელი სამუშაოებიც სწორედ აღნიშნულ მასალას უნდა ეფუძნებოდეს (იხ. შესაბამისი პროექტი დანართის სახით).

- ✓ შენარჩუნებულ უნდა იქნას ინტერიერში არსებული ყველა აუთენტური ელემენტი, რომელიც სარესტავრაციო პროექტში არის მოყვანილი და სახელოვნებათმცოდნეო კვლევა ასაბუთებს მის მნიშვნელოვანებას (კონსტრუქციები, გადახურვები, სვეტები, ალატები, მოაჯირები, ცალკეული დეკორატიული ელემენტები და სხვა);
- ✓ იმ შემთხვევაში თუ სამუშაოები უნდა ჩატარდეს აუტენტუ ელემენტებზე, სვეტები ალათები და სხვა, მოსამზადებელია ლაბორატორიული დასკვნა, რომელიც დაასაბუთებს აღნიშნული ელემენტების აუთენტურ ფერადოვნებას;
- ✓ შესაძლებელია შესასვლელში არსებული გვიანდელი შეკიდული ჭერისა და კედლების შემომსაზღვრელი ტიხრების/სარკეების მოხსნა, თუმცა სასურველია გაკეთდეს ზონდაჟი, რომელიც გამოაჩენს სიღრმეში არსებულ ფენებს. მათი ადგილზე შესწავლით უნდა გადაწყდეს ინტერიერის აღნიშნული ელემენტის დიზაინიც;
- ✓ შენარჩუნებულ უნდა იქნას შესასვლელში არსებული პანდუსები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გვიანდელ ჩარევას წარმოადგენენ;
- ✓ რაც შეეხება დეკორატიული ფილებით მოწყობილ დერეფნებს შესაძლებელია მათი ჩანაცვლება, რადგან აღნიშნული ფილები გვიანდელი რეკონსტრუქციის შედეგია,თუმცა უწინარესად გააზრებულ უნდა იქნას შენობის კონსტრუქციული მდგომარეობა, და მეორეც ახალი დიზაინი ერთიან კონცეფციას უნდა ეხმიანებოდეს;
- ✓ იდა ბოლოს შემოსასვლელი ინტერიერის მოწყობა უნდა ითვალისწინებდეს მუზეუმოგრაფიის ერთიან ხედვასა და სამუზეუმო კონცეფციას.

ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია